რძის პროდუქტების მაღაზია

კოოპერატივი “მზიური ჯავახეთი” 2009 წლეს დაარსდა. მის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პროექტს - „ფერმერთა კოოპერატივების გაძლიერება საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტებში“.

პროექტი ევროკავშირის პროგრამის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)“ ფარგლებში განხორციელდა. თავდაპირველად, კოოპერატივის მიზანს, ახალქალაქში რძის პროდუქტების წარმოება წარმოადგენდა.

საწარმოს რძის საკუთარი მომწოდებლები ჰყავს, რომლებთანაც წლებია, თანამშრომლობს და ხარისხშიც დარწმუნებულია. თუმცა, როგორც კოოპერატივის დამფუძნებელი, მაქსიმ გილოიანი ამბობს, რძის ხარისხის კონტროლი მუდმივად ხორციელდება. კოოპერატივმა HACCP სტანდარტიც დანერგა, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოში სურსათის უვნებლობა უზრუნველყოფილია.

კოოპერატივმა წლების წინ სახელმწიფოს დახმარებით შეღავათიანი კრედიტითაც ისარგებლა და 7 წლის ვადით 3%-ად 45 ათასი ლარიც მიიღო, რაც საწარმოს განვითარებას მოახმარა.

პროექტის შედეგად დასაქმდა: 4 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 93,435.82 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 67, 200 ლარი
თანადაფინანსება: 26,235.82 ლარი

“ჩვენ რეგიონში რძის პროდუქტების წარმოებით ბევრია დაკავებული. თუმცა ყველა არ იცავს სანიტარულ ნორმებს და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. ეს კი საქმეს ართულებს და ბაზარზე არაჯანსაღ კონკურენციას ქმნის. რძის პროდუქტების ასეთი მწარმოებლები პროდუქტს იაფად ყიდიან. ჩვენი საწარმო კი ხარისხზეა ორიენტირებული და მთავარი პრიორიტეტი, მომხმარებლისთვის ჯანსაღი საკვების შეთავაზებაა. ამიტომ აუცილებელია, სახელმწიფომ კონტროლი გაამკაცროს, რაც ბიზნესს თანაბარ პირობებში ჩააყენებს,” - აცხადებს მაქსიმ გილოაინი.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმო წლებია არსებობს და პროდუქციის ფართო არჩევანიც აქვთ, მაღაზიის გახსნა დამატებითი ფინანსური დახმარების გარეშე ვერ მოხერხდა. დახმარება კი კვლავ ევროკავშირიდან, კერძოდ კი ENPARD2 პროგრამიდან მოვიდა.

“როგორც კი შევიტყვეთ ახალი საგრანტო კონკურსის შესახებ, ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს მივმართეთ დახმარებისთვის. აღნიშნული ორგანიზაცია გულისყურით მოეკიდა ჩვენ საკითხს. დაგვეხმარა საგრანტო პროექტის მომზადებაში, მოგვცა შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები. შედეგმაც არ დააყოვნა. მივიღეთ საჭირო თანხა პროექტის განსახორციელებლად. მადლობას ვუხდით ევროკავშირს, GIPA-ს, LAG-ს, რომ დაინახეს ჩვენი საწარმოს და პროექტის პოტენციალი. დარწმუნებულები ვართ, ხელს შევუწყობთ რეგიონის ეკონომიკურ წინსვლას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას”, - განცხადა მაქსიმ გილოიანმა, რომელიც ათეულობით წლების მანძილზე რძის პროდუქტების წარმოებას ემსახურება. ის დღესაც არ კმაყოფილდება მიღწეულით და მუდმივად ცდილობს განავითაროს საწარმო, გაამდიდროს ასორტიმენტი და რაც მთავარია, ეს ყველაფერი განახორციელოს სტანდარტების და რეგულაციების სრული დაცვით. საბოლოო მიზანი კი ევროპულ ბაზარზე, “მზიური ჯავახეთის” რძის ნაწარმის წარმოჩენაა.

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მერსი ქორფსი, ELVA საზოგადებრივი ჩართულობა და დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობა.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.